



2026 წლის აპრილის თვის
მაკროეკონომიკური გარემოს

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2026

მაისი

2026 წლის აპრილის თვის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები*

2

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი

10.7%




მარტი*

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპის სამი თვის საშუალო მაჩვენებელი


9.1%

აპრილში, სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 5.9% შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაცია 3.2%-ით განისაზღვრა.




მარტში* საქონლის ექსპორტი 23.4%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი 7.1%-ით შემცირდა.

ექსპორტი 1,723. იმპორტი 4,143.2




მარტში* ფულადმა გზავნილებმა 320.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


ევროკავშირის ქვეყნები - 45.4%;
 აშშ - 19.0%;
 რუსეთი - 11.9%;
 სხვა ქვეყნები - 23.6%.





მარტში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი, როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე გაიზარდა.



აპრილში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან 0.9%-ით გამყარდა, ევროსთან მიმართებით კი 0.1%-ით გაუფასურდა.



1. რეალური და ფისკალური სექტორი



2026 წლის მარტში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკურმა ზრდამ 10.7% შეადგინა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2026 წლის მარტში*, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 10.7% შეადგინა, ხოლო იანვარ-მარტის* საშუალო მაჩვენებელმა 9.1% შეადგინა.



ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა: დამამუშავებელი მრეწველობა, ინფორმაცია და კომუნიკაცია, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები, სამთომომპოვებითი მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი და დასაწყობება.



დღგ-ის საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებელმა 2026 წლის მარტში* 15,585.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 13.4%-ით აღემატება.

2026 წლის აპრილში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 5.9% შეადგინა.

აპრილში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ინფლაციის დონე 5.9%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელთან შედარებით მაღალი. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია, ფასების დინამიკამ სურსათსა და უაღკოპოლო სასმელებზე, ტრანსპორტზე, საცხოვრებელზე, წყალზე, ელექტროენერჯიაზე და აირზე. საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 3.2%-ით განისაზღვრა.

2026 წლის მარტში* მშპ-ის წლიურმა საპროცენტო დეფლატორმა 3.5% შეადგინა.






2026 წლის მარტში* ნაერთი ბიუჯეტის დადებითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

მარტში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 9.9%-ით, ხოლო ხარჯები 7.8%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 499.0 მლნ ლარით, ხოლო დადებითი მთლიანი სალდო 250.1 მლნ ლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ 2026 წლის მარტში* საგადასახადო შემოსავლებმა 2,307.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 6.2%-ით აჭარბებს. კერძოდ, გადასახადის სახეების მიხედვით, შემოსავლების სტრუქტურა ზრდის მიმართულებით შემდეგი სახით დაკორექტირდა: იმპორტის გადასახადი (38.8%-ით), მოგების გადასახადი (35.3%), დღგ (13.8%-ით), საშემოსავლო გადასახადი (12.9%-ით), აქციზი (11.5%-ით). კლების მიმართულებით შემდეგი სახით დაკორექტირდა: ქონების გადასახადი (72.9%). პირდაპირი გადასახადების წილმა მთლიან გადასახადებში 50.6%, ხოლო არაპირდაპირმა 49.4% შეადგინა.

მარტში*, წინა წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით, არაფინანსური აქტივების 17.5%-იანი კლება (71.2 მლნ ლარით ნაკლები) დაფიქსირდა.

შემოსავლები და ხარჯები (მლნ ლარი)




2026 წლის მარტში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები გაიზარდა.


მარტში*, წინა წლის მარტთან მიმართებით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 14.0%-ით მოიმატა და 70,203.7 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 15.1%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხები 12.5%-ით გაიზარდა. კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა 42.4% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების ნახევარზე მეტი (53.8%) შინამეურნეობებზე მოდის (შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 85.5% ფიზიკურ პირებზეა, 14.5% კი ინდემნარმეებზე). შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 38.6% სამომხმარებლო სესხია, ხოლო 61.4% უძრავი ქონებით არის უზრუნველყოფილი.

საქმიანობის სახეების მიხედვით, გაცემულ სესხებში ყველაზე მეტი - 22.2% გაცემულია მშენებლობის დარგში, 21.1% - ვაჭრობის, 16.0% - მრეწველობის, 15.3% - უძრავი ქონებით ოპერაციებში, 5.4% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.

სესხები საქმიანობის სახეების მიხედვით (ნაშთები)



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები




2026 წლის იანვარ-მარტში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, გაიზარდა საქონლის ექსპორტი, ხოლო შემცირდა იმპორტი.

2026 წლის იანვარ-მარტში* ექსპორტმა 23.4%-ით მოიმატა, ხოლო იმპორტი 7.1%-ით შემცირდა, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 0.2%-ით გაიზარდა და 5,867.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 29.4%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა შემდეგ ქვეყნებში: ჩინეთი (278%), თურქეთი (91%), უკრაინა (56%), ბულგარეთი (47%), სომხეთი (15%), რუსეთი (12%) და სხვა. ექსპორტი შემცირდა ყირგიზეთში (36%), ყაზახეთში (34%), აზერბაიჯანსა (1%) და სხვა ქვეყნებში.


იანვარ-მარტში* საექსპორტო საქონლის მიხედვით, ზრდა დაფიქსირდა შემდეგ ჯგუფებში: ნავთობი და ნავთობპროდუქტები (698%), ძვირფასი ლითონების მადნები (221%), სპილენძის მადნები (170%), ფეროშენადნობები (94%), თხილი და სხვა კაკალი (63%), ოქრო (57%), მინერალური და მტკნარი წყალი (10%), ღვინო (6%), სპირტიანი სასმელები (2%). შემცირდა მსუბუქი ავტომობილების (27%) საზღვარგარეთ გატანა.

უმსხვილესი საექსპორტო საქონელი
(იანვარი - მარტი)




2026 წლის იანვარ-მარტში* ტრანსპორტირების სახეების მიხედვით ექსპორტის უდიდესი ნაწილი - 54.1% საავტომობილო ტრანსპორტით განხორციელდა, 38.5% - საზღვაო, 4.4% - საჰაერო, 2.9% სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) საშუალებების წილმა მხოლოდ 0.04% შეადგინა.

ექსპორტი ტრანსპორტირების სახეების მიხედვით
(იანვარი - მარტი)




ამავე პერიოდში იმპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი - 43.3% საავტომობილო ტრანსპორტირებით განხორციელდა, 37.6% - საზღვაო, 7.3% - საჰაერო, 6.0% კი სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი სახეების წილმა 5.7% შეადგინა.

იმპორტი ტრანსპორტირების სახეების მიხედვით
(იანვარი - მარტი)




იანვარ-მარტში* საქართველოს ადგილობრივი ექსპორტი 1,122.8 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 75.1%-ით მეტია. აღნიშნულ პერიოდში 10 უმსხვილეს ქვეყანას, სადაც ადგილობრივი ექსპორტი განხორციელდა, წარმოადგენდა: ჩინეთი (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 18%), თურქეთი (12%), რუსეთი (12%), ბულგარეთი (6%), ტოგო (5%), სომხეთი (4%), შვეიცარია (3%), უკრაინა (3%), აზერბაიჯანი (3%) და აშშ (3%).

ფულადი გზავნილები (%)
ჩარიცხვები, მარტი



მთლიანი საერთაშორისო რეზერვები
(მლნ აშშ დოლარი)




2026 წლის მარტში* ფულადი გზავნილები გაიზარდა.

მარტში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, საქართველოში ფულადი გზავნილების ჩარიცხვები 9.8%-ით გაიზარდა და 320.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (145.6 მლნ აშშ დოლარი, გზავნილების მთლიანი ოდენობის 45.4%) და აშშ (61.0 მლნ აშშ დოლარი, 19.0%) წარმოადგენდნენ.

რუსეთიდან გზავნილები 0.9%-ით გაიზარდა და 38.2 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა (წილი 11.9%).

საანალიზო პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფულადი გზავნილების ოდენობა იტალიიდან (55.3 მლნ აშშ დოლარი, წილი 17.2%), გერმანიიდან (28.3 მლნ აშშ დოლარი), საბერძნეთიდან (26.9 მლნ აშშ დოლარი), ისრაელიდან (26.9 მლნ აშშ დოლარი), თურქეთიდან (11.5 მლნ აშშ დოლარი), ესპანეთიდან (8.7 მლნ აშშ დოლარი), საფრანგეთიდან (6.6 მლნ აშშ დოლარი) და სხვა ქვეყნებიდან.



● ჩარიცხვა ● გადარიცხვა

2026 წლის აპრილის საერთაშორისო რეზერვებმა 6,471 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

აპრილში, საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 6,471 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2025 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, 43.2%-ით, ხოლო წინა თვესთან მიმართებით კი 2.4%-ით გაიზარდა.

2026 წლის აპრილში საქართველოს ეროვნულ ბანკს სავალუტო აუქციონზე ოპერაციები არ განუხორციელებია.

რეზერვების ადეკვატურობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება 3 თვის იმპორტის კოეფიციენტი. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ბმული.


3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

2026 წლის მარტში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მონეტარული ბაზა შემცირდა.

მარტში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მონეტარული ბაზა 6.2%-ით შემცირდა. მათ შორის, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული 10.4%-ით გაიზარდა, ხოლო სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმართ ვალდებულებები 19.4%-ით შემცირდა.


ამავე პერიოდში ფულის M2 აგრეგატმა 26.4%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 17.8%-ს გაუტოლდა. 2026 წლის აპრილში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 5.9% შეადგინა.

ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები (%-ლი ცვლილება)



2026 წლის აპრილში მთავრობის მიერ ემიტირებულმა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნომინალურმა ღირებულებამ 11,755.0 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის: 69.6% კომერციული ბანკების მფლობელობაშია, 9.6% - ეროვნული ბანკის, ხოლო 20.8% სხვა რეზიდენტი და არარეზიდენტი კლიენტების მფლობელობაში (რეზიდენტი - 16.1%, არარეზიდენტი - 4.7%).

სახაზინო ფასიანი ქაღალდები მფლობელების მიხედვით (აპრილი)




2026 წლის მარტში*, კომერციული ბანკების მიერ მოზიდულმა დეპოზიტების საერთო მოცულობამ (ნაშთმა) 70,760.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მანქვენებელს 18.2%-ით აღემატება. მათ შორის, ეროვნულ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 53.0% შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 47.0%.

თებერვლის* თვის ბოლოს არსებული მონაცემებით, ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 62.1% იურიდიულ პირებს, ხოლო 37.9% ფიზიკურ პირებს ეკუთვნის.

ამავე პერიოდში უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 66.9% ფიზიკურ პირებს, ხოლო 33.1% იურიდიულ პირებს ეკუთვნის.


დეპოზიტები მარტი



ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 57.0% ვადიანი დეპოზიტებია, 24.2% მოთხოვნამდე დეპოზიტები, ხოლო 18.9% მიმდინარე ანგარიშები.

უცხოური ვალუტის შემთხვევაში, ყველაზე დიდი წილი ვადიან დეპოზიტებს უკავია (39.6%), შემდეგ - მოთხოვნამდე დეპოზიტებს (36.0%) და მიმდინარე ანგარიშებს (24.4%).

დეპოზიტები და დოლარიზაციის კოეფიციენტი (მლნ ლარი, %)




2026 წლის მარტში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი, როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე შემცირდა.

მარტში*, წინა თვესთან მიმართებით, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 1.05 კპ-ით შემცირდა და 44.5%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი კი 0.25 კპ-ით გაიზარდა და 42.4% შეადგინა.


მარტის* თვეში, წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 0.1%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 4.3%-ით გაიზარდა.

სესხები და დოლარიზაციის კოეფიციენტი (მლნ ლარი, %)




2026 წლის მარტში*, სამომხმარებლო სესხების მოცულობამ 15,162.9 მლნ ლარი შეადგინა, ანუ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 21.2%-ით მეტი. მათ შორის, გრძელვადიანი სესხების წილი 97.2%-ია, ხოლო მოკლევადიანის - მხოლოდ 2.8%.

სამომხმარებლო სესხები (მარტი)



ამავე პერიოდში, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობამ 46,968.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 15.1%-ით აღემატება. აქედან, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების წილი 49.5%-ია, ხოლო უცხოური ვალუტით - 50.5%.

უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები (მარტი)




მარტის* ბოლოს არსებული მონაცემებით, რეგიონების მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში სესხების 65.9% გაცემულია თბილისში, 7.3% - იმერეთში, 7.1% - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 4.5% - კახეთში, 4.5% - ქვემო ქართლში, 3.8% - სამეგრელო-ზემო სვანეთში. სხვა რეგიონებში გაცემული სესხების წილი შედარებით მცირეა.

2026 წლის მარტში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.53 პპ-ით, ხოლო სესხებზე 0.55 პპ-ით შემცირდა.


მარტში*, საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 13.0% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 6.6%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის), მარტის* მდგომარეობით, 6.4% შეადგინა, 0.29 პპ-ით ნაკლები წინა წლის მარტთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2026 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი უცვლელი დარჩა და კვლავ 8.0% შეადგინა.

ლარის გაცვლითი კურსის ინდექსები (ინდექსის ზრდა ნიშნავს ლარის გამყარებას, კლება - გაუფასურებას)



საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებსა და დეპოზიტებზე (%)



2026 წლის აპრილში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან მიმართებით გამყარდა, ხოლო ევროს მიმართ გაუფასურდა.

აპრილში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.9%-ით გამყარდა, ევროს მიმართ 0.1%-ით გაუფასურდა და თურქულ ლირასთან 2.1%-ით გამყარდა. ამავ პერიოდში მცირედით გაუფასურდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი. რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებას, მარტში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.2%-ით გამყარდა, ევროს მიმართ 1.9%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 19.9%-ით გამყარდა.

აპრილის თვეში, პერიოდის საშუალო ლარის გაცვლითმა კურსმა აშშ დოლართან მიმართებით 2.70, ევროს მიმართ 3.15, თურქულ ლირასთან მიმართებით კი 0.06 შეადგინა.


4. სოციალური სფეროს მიმოხილვა

2025 წლის IV* კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაიზარდა.


2025 წლის IV* კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 2,466.2 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 11.2%-ით (248.7 ლარით) მეტი, ხოლო წინა კვარტალთან მიმართებით 8.6%-ით (194.6 ლარით) მეტია.

რაც შეეხება დარგების მიხედვით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ცვლილებას, 2025 წლის IV* კვარტალში ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი დაფიქსირდა ინფორმაციისა და კომუნიკაციის (4,373.2 ლარის ოდენობით, 9.1% წლიური ზრდა), მშენებლობის (3,938.9 ლარი, ზრდა 17.2%), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობის (3,747.7 ლარის ოდენობით, ზრდა 11.1%), აგრეთვე პროფესიული, სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის დარგებში (3,385.0 ლარი, ზრდა 3.9%).

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი (ლარი)



სახელმწიფო დანახარჯები განათლებასა და ჯანდაცვაზე (მლნ ლარი)



2026 წლის მარტში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, სახელმწიფო დანახარჯები როგორც განათლებაზე, ასევე ჯანდაცვაზე გაიზარდა.


მარტში*, განათლებაზე განუღმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 280.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით, 11.6%-ით მეტია. ჯანდაცვაზე განუღმა დანახარჯები კი 245.2 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 15.2%-ით მეტი.

5. რეგიონული მიმოხილვა


2026 წლის აპრილში, რეგიონის ქვეყნებში, თურქეთის გარდა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით მსგავსი დინამიკით ხასიათდება.

კერძოდ, საანალიზო პერიოდში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 32.4%, ხოლო სომხეთში 5.3% შეადგინა. რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2026 წლის მარტის* მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანში 5.6%-ით, ხოლო რუსეთში 5.9%-ით გაიზარდა.

წლიური ინფლაცია აპრილი



გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება აპრილი



2026 წლის აპრილის თვეში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები, აშშ დოლართან მიმართებაში, თურქული ლირის გარდა, გამყარდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აპრილში აშშ დოლართან მიმართებით თურქული ლირა 14.8%-ით გაუფასურდა, ხოლო გამყარდა რუსული რუბლი 8.1%-ით, სომხური დრამი 4.4%-ით, ქართული ლარი 2.2%-ით, აზერბაიჯანული მანათი კი 0.03%-ით.

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

	აპრ 25	მაი 25	ივნ 25	ივლ 25	აგვ 25	სექ 25	ოქტ 25	ნოე 25	დეკ 25	იან 26	თებ 26	მარ 26	აპრ 26
მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	7.5	7.5	6.3	6.5	6.6	6.4	6.0	7.2	7.2	7.9	8.8	10.7	
დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	9.4	13.0	8.7	9.2	9.0	9.2	7.0	10.1	11.0	5.9	10.7	13.4	
ინფლაცია (%)	3.4	3.5	4.0	4.3	4.6	4.8	5.2	4.8	4.0	4.8	4.6	4.3	5.9
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00
დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.49	0.49	0.48	0.47	0.47	0.47	0.47	0.47	0.46	0.44	0.44	0.43	
სესხების დოლარიზაცია (%)	0.43	0.43	0.43	0.42	0.42	0.42	0.42	0.42	0.42	0.42	0.42	0.42	
გაცვლითი კურსი (ლარი)	2.75	2.74	2.73	2.71	2.70	2.71	2.72	2.71	2.70	2.70	2.68	2.72	2.70
გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	295,541	317,421	315,507	336,988	321,548	317,792	318,709	298,395	340,484	282,637	295,319	320,600	
ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	617	580	640	610	603	703	684	782	673	480	546	697	
იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	1,525	1,486	1,511	1,608	1,497	1,565	1,557	1,512	1,892	1,149	1,337	1,592	
სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-908.3	-906.2	-870.6	-998.0	-894.1	-861.5	-873.0	-729.3	-1,219.3	-668.4	-790.6	-1,592.3	
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	4,518	4,585	4,688	5,020	5,204	5,428	5,603	5,816	6,159	6,300	6,659	6,317	6,471
შემოსავლები (მლნ ლარი)	2,059	2,819	2,609	2,387	2,117.9	2,499.4	2,296.7	2,264.4	2,874.5	2,302.4	2,032.5	2607.5	
მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1,940	1,872	2,000	2,252	1,724.8	1,845.3	2,033.9	1,687.5	3,738.7	2,005.0	1,911.6	2108.5	
კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	397	332	454	371	400.2	578.5	320.8	344.4	1,116.7	229.6	198.5	334.8	

ზრდა
 კლება
 ცვლილება < 1%


ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან

	აპრ 25	მაისი 25	ივნ 25	ივლ_25	აგვ 25	სექტ 25	ოქტ_25	ნოე_25	დეკ 25	იან_26	თებ_26	მარ_26	აპრ_26
მშპ-ს ზრდის ტემპი													
დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
ინფლაცია													
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
დეპოზიტების დოლარიზაცია													
სესხების დოლარიზაცია													
გაცვლითი კურსი													
გზავნილები													
ექსპორტი													
იმპორტი													
სავაჭრო ბალანსი													
საერთაშორისო რეზერვები													
შემოსავლები													
მიმდინარე ხარჯები													
კაპიტალური ხარჯები													

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან

	აპრ 25	მაისი 25	ივნ 25	ივლ_25	აგვ 25	სექტ 25	ოქტ_25	ნოე_25	დეკ 25	იან_26	თებ_26	მარ_26	აპრ_26
მშპ-ს ზრდის ტემპი													
დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
ინფლაცია													
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
დეპოზიტების დოლარიზაცია													
სესხების დოლარიზაცია													
გაცვლითი კურსი													
გზავნილები													
ექსპორტი													
იმპორტი													
სავაჭრო ბალანსი													
საერთაშორისო რეზერვები													
შემოსავლები													
მიმდინარე ხარჯები													
კაპიტალური ხარჯები													

დოკუმენტი ინტერაქტიულ ფორმატში
შეგიძლიათ იხილოთ



ინტერაქტიული სტატისტიკა (ინფოგრაფიკები)
შეგიძლიათ იხილოთ

